

## ჯორჯიან მანგანუმი - კომპანიის პროფილი

2015 წლიდან „მწვანე ალტერნატივა“ გამოსცემს პერიოდულ ანგარიშს „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოში“. გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განხილვისას ვაფასებთ ე.წ. მსხვილი დამბინძურებლების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას და ვამზადებთ საქმიანობის მასშტაბითა და გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ოთხი გამორჩეული სანარმო პროფილს. ესენია: (1) არემჟი (2) ჯორჯიან მანგანუმი (3) საქნახშირი; და (4) ჰაიდელბერგცემენტი. ეს დოკუმენტი ჯორჯიან მანგანუმის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას აღწერს.

### ჭიათურის მანგანუმი

სპეციალისტების შეფასებით, საქართველოში არსებული მანგანუმის საბადოები გამოირჩევა მადნის მაღალი ხარისხით, დიდი სამრეწველო მარაგით და მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით. ჭიათურის საბადოს ექსპლუატაცია ჯერ კიდევ 1879 წელს დაიწყო. 1990 წლამდე მოპოვებული იქნა 203 მლნ. ტონა ნედლი მადანი და მოხდა 108 მლნ. ტონა სასაქონლო პროდუქციის რეალიზაცია. 1990 წლიდან მანგანუმის მოპოვება მკვეთრად შემცირდა, განსაკუთრებით 1996-1998 წლებში. 1993 წელს სანარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმი“. „ჭიათურმანგანუმის“ პრივატიზებისა და რეაბილიტაციის არაერთი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ჭიათურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით 2005 წელს გაიხსნა სანარმოო გაკოტრების საქმის წარმოება.

2006 წლის 11 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ჩატარებული აუქციონის შედეგად, ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებასთან ერთად სს „ჭიათურმანგანუმის“ აქტივებიც გაიყიდა. აუქციონში გაიმარჯვა ვაჭრობის ერთადერთმა მონაწილემ - „ჯორჯიან მანგანუმ ჰოლდინგ ლიმიტედმა“, რომელიც მანამდე ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მფლობელი გახდა.

გარიგების გაფორმებისას, „ჯორჯიან მანგანუმ ჰოლდინგ ლიმიტედი“ საკმაოდ ცნობილი ბრიტანული კომპანიის სტემკორის შვილობილი კომპანია იყო. 2006 წლის ბოლოსთვის სტემკორმა ჰოლდინგის 75% უკრაინულ „პრივატ ჯგუფს“ მიყიდა. ეს ჯგუფი საქართველოში „ტაო-პრივატ ბანკის“ მფობელი იყო 2007-2014 წლებში. უკრაინული პრესის თანახმად, [ჯგუფი „პრივატი“](#) ერთ-ერთი ყველაზე დახურული და არაგამჭვირვალე კომპანიაა, მისი დამფუძნებლები [იგორ კოლომოსკი](#) და [გენადი ბოგოლუბოვი](#) უკრაინის უმდიდრეს ადამიანთა ხუთეულში შედიან.

2013 წელს „პრივატ“ ჯგუფმა „ჯორჯიან მანგანუმი“ (ყოფილი ჭიათურმანგანუმი და ზესტაფონის ფერო) და „ჯორჯიან მანგანუმის“ საკუთრებაში არსებული ვარციხეპესების კასკადი თავის ამერიკულ ჰოლდინგზე Georgia American Alloys<sup>1</sup>-ზე გადააფორმა; თუმცა, ქართულ საზოგადოებას ეს ფაქტი გააცნეს, როგორც სანარმოებში ახალი „მენეჯმენტის მოსვლა“. შესაბამისად, „ახალმა მენეჯმენტმა“

<sup>1</sup> [The dangers of doing business abroad](#), BY KEN STIER Special to the Miami Herald, September 13, 2017

ყველაფერი ცუდი „ძველ მენეჯმენტს“ გადააბრალა და პრობლემების მოგვარების პირობა დადო. სხვადასხვა მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული სტატიების თანახმად, 2016 წლის ბოლოსთვის უნდა ამოქმედებულიყო ახალი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი; თუმცა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

## გარემოზე ზემოქმედება

2009 წლამდე ჭიათურის მანგანუმის **გამამდიდრებელი სანარმოს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და შესაბამისი ნებართვის გარეშე ფუნქციონირებდა. 2009 წელს გაცემული ნებართვის პირობები პირველად 2012 წელს შემოწმდა. ნებართვის პირობების დარღვევისათვის კომპანია დაჯარიმდა 5000 ლარით. დარღვევების გამოსასწორებლად სამინისტრომ კომპანიას გონივრული ვადები განუსაზღვრა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2014 წელს გადაამოწმა დადგენილ ვადებში დარღვევების გამოსწორებისათვის გატარებული ღონისძიებები. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ნებართვის პირობების დარღვევის გამო დაკისრებული ვალდებულებები კვლავ არ იყო შეუსრულებელი. ამიტომ, ჯორჯიან მანგანუმს დაეკისრა ჯარიმა 15 000 (ნებართვის პირობების განმეორებით დარღვევის გამო ჯარიმის გასამმაგებელი ოდენობა) ლარის ოდენობით. ასევე, სამინისტრომ დაიანგარიშა გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელმაც 30 659 550 ლარი შეადგინა.

2014 წლის 17 სექტემბერს სამინისტრომ კომპანიას განმეორებით განუსაზღვრა გონივრული ვადები და დაუდგინდა შესაბამისი ვალდებულებები. ეს ვადები, კომპანიის თხოვნით, სამინისტრომ თავდაპირველად 2015 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო მოგვიანებით, 2016 წლის 1 ივლისამდე გაუგრძელა. 2016 წლის ივნისში კომპანიამ კვლავ ითხოვა ვადის 1 წლით გახანგრძლივება, რაზეც სამინისტრო არ დათანხმდა. სამინისტროს განმარტებით, კომპანიას არ გაუწევია რაიმე ძალისხმევა დარღვევების გამოსასწორებლად; შესაბამისად, გადავადების ობიექტური საფუძველი არ არსებობდა.

დადგენილი ვადის ამოწურვისთანავე, 2016 წლის 2 ივლისს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა კვლავ დააჯარიმა კომპანია. ოქმის საფუძველზე, ამჯერად, კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 45 000 ლარის ოდენობით - ანუ, ერთხელ უკვე გასამმაგებელი საწყისი 5000 ლარიანი ჯარიმის, კვლავ გასამმაგებელი ოდენობა.

2016 წლის 5 ივლისს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გამოსცა ბრძანება „შპს „ჯორჯიან მანგანუმი“-სთვის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი პირობების დაცვით სანებართვო ქმედების განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე“. ბრძანების თანახმად, სამინისტროს მიაჩნია, რომ „სანარმო წარმოადგენს ქალაქ ჭიათურასა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის ძირითად დასაქმების წყაროს, ხოლო მისთვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება გამოიწვევს მნიშვნელოვან სოციალურ კრიზისს... გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოცემულ შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება და ამით ნებართვის მფლობელისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვერ უზრუნველყოფს შექმნილი რთული ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებას, ხოლო ნებართვის მფლობელისთვის დამატებითი გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაკისრება და მათი აღსრულების მონიტორინგი არსებული მდგომარეობის გამოსწორების მეტ შესაძლებლობას იძლევა“. მინისტრის ბრძანებით, შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ მიეც საქმიანობის გაგრძელების უფლება 2017 წლის 31

დეკემბრამდე ვალდებულებების შესრულებისა და ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობის პირობით.

ჯორჯიან მანგანუმის საკუთრებაში არსებული **წიაღით სარგებლობის ლიცენზია** გაცემულია 2006 წელს 40 წლის ვადით. ლიცენზიის პირობებით კომპანიას სამენარმეო საქმიანობისათვის გამოეყო 16 430 ჰა, რომელთაგან ჭიათურის რაიონში არის 13 068 ჰა (რაიონის მთლიანი ფართობის 24%), ხოლო საჩხერის რაიონში 3 362 ჰა. 2006 წელს გაცემული ლიცენზიის პირობების შემონმდება პირველად მხოლოდ 2013 წელს მოხდა, ისიც ნაწილობრივ - შემონმდა მხოლოდ სოფ. პერევისას, რგანის, ითხვისის და ზედა ითხვისის ტერიტორიებზე წიაღის ღია კარიერული წესით მოპოვების პრაქტიკა. შემონმების შედეგად დადგინდა, რომ ირღვეოდა ლიცენზიის პირობები, წიაღით სარგებლობისას გარემოსა და უსაფრთხოების დაცვისთვის არსებული თითქმის ყველა ნორმა და წესი. კომპანია დაჯარიმდა 500 ლარით, განესაზღვრა გონივრული ვადა დარღვევების გამოსწორებისათვის; ხოლო გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 2 079 582,34 ლარი. 2014 წელს განმეორებითი შემონმებისას გაირკვა, რომ გონივრულ ვადებში დარღვევები არ აღმოფხვრილა. ამჯერად კომპანია 1500 ლარით დაჯარიმდა. კომპანიას კვლავ დაუნესდა გონივრული ვადა დარღვევების გამოსასწორებლად. თუმცა, 2017 წელს ჩატარებული შემონმების შედეგად კვლავ გამოვლინდა კანონის მნიშვნელოვანი დარღვევები.

2014 წელს შემონმდა რგანის, წერეთლისა და შუქრუთის მაღაროები და მაღაროების მიწისზედა პერიმეტრი. შემონმების შედეგად დადგინდა გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის არსებული ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევები. ამჯერად კომპანია ჯარის გაორმაგებული ოდენობით - 1000 ლარით დაჯარიმდა და კვლავ განესაზღვრა ვადა დარღვევებს აღმოსაფხვრელად. ასევე, 2014 წელს შუქრუთის, მღვიმევისა და ზედა რგანის კარიერებზე მნიშვნელოვანი დარღვევების გამო, ჯორჯიან მანგანუმი კვლავ დაჯარიმდა 1000 ლარით, ამჯერად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა 324 328 434, 23 ლარი შეადგინა.

2013 წელს დაწყებული შემონმების შედეგად გამოვლენილი იქნა **უკანონო ტყეთსარგებლობის და ხე-ტყის განადგურების** არაერთი ფაქტი.

- 2013 წელს გამოვლენილი იქნა უკანონოდ მოთხრილი და ჩამარხული 220,6 მ<sup>3</sup> ხე-ტყე; გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 158 832 ლარი.
- 2015 წელს დადგინდა, რომ კომპანიას განადგურებული აქვს 591,94 მ<sup>3</sup> ხე-ტყე 76 342 მ<sup>2</sup> ფართობზე; ზიანმა შეადგინა 403 504,2 ლარი.
- 2016 წელს ჩატარებული შემონმების შედეგად გამოვლინდა 176,17 მ<sup>3</sup> ხე-ტყის განადგურების ფაქტი; ზიანმა შეადგინა 87 684,48 ლარი.

ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელი ფაბრიკებისა და წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გარდა, ჯორჯიან მანგანუმის საწარმოო ციკლში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას**. საწარმოს ნებართვა 2010 წლის 1 იანვრამდე სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის (პროგრამის) შესაბამისად უნდა მოეპოვებინა. თუმცა, საწარმოს ნებართვა დღესაც არ აქვს. კანონის ურჩი და უხეში დარღვევის გამო საწარმო არაერთხელ დაჯარიმდა. 2015 წელს მესამედ ჩატარებული შემონმებისას დადგინდა, რომ საწარმოს ფუნქციონირების შედეგად მხოლოდ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევით გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა 60 472 413,6 ლარი შეადგინა.

## სპეციალური მმართველი

2017 წლის მაისში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შპს „ჯორჯიან მანგანებში“ სპეციალური მმართველის<sup>2</sup> დანიშვნა, სასამართლოსთვის წარდგენილ შუამდგომლობაში სამინისტრო უთითებდა, რომ გამოყენებულმა ჯარიმებმა და დამატებით მიცემულმა ვადებმა ვერ აიძულა კომპანია შეესრულებინა სალიცენზიო და სანებართვო პირობები. „პირობების შესრულების საკითხი კი განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს გამომდინარე იქედან, რომ სალიცენზიო/სანებართვო პირობების დარღვევით განხორციელებული საქმიანობა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს გარემოს, უარყოფითად ზემოქმედებს წიაღზე, წყალსა და ჰაერზე, დაანგარიშებული გარემოსათვის მიყენებული ზიანი, ზემოხსენებულ მონაცემებზე დაყრდნობით მინიმუმ 416110418,51 ლარს შეადგენს, რომელიც უწყვეტად განაგრძობს ზრდას. თუმცა, მეორეს მხრივ, კომპანიისათვის ნებართვით/ლიცენზიით მინიჭებული უფლების შეჩერება ქმნის წარმოების გაურკვეველი ვადით შეწყვეტისა და სხვა ეკონომიკური პრობლემების საფრთხეს, ვინაიდან შპს „ჯორჯიან მანგანები“ წარმოადგენს ერთადერთ კომპანიას, რომელსაც მოცემული მომენტისათვის შეუძლია მანგანუმი მადნის მოპოვება-გადამუშავების რთული პროცესის უზრუნველყოფა, აღჭურვილია სათანადო სანარმოო ქარხანა-დანადგარებით (ყველა ობიექტზე) და სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივებით, მათ შორის, შესაბამისი ადამიანური რესურსით. თუმცა, აქვე უნდა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს „ჯორჯიან მანგანებში“ დაკისრებული ჯარიმების პარალელურად მისთვის არაერთხელ მინიჭებული დამატებითი გონივრული ვადიდან არცერთ შემთხვევაში არ უზრუნველყო სალიცენზიო/სანებართვო პირობების დაკმაყოფილება, უფრო მეტიც, ამ მიზნით ქმედითი მცდელობებიც არ განუხორციელებია და დღემდე აგრძელებს უპირატესად ლიცენზიის პირობათა უხეშ უგულებელყოფას. დღევანდელი მოცემულობის გათვალისწინებით კი, ნაკლებ სავარაუდოა კომპანიის მხრიდან ზემოთ დასახელებულ პრობლემათა სამომავლო აღმოფხვრა, ვინაიდან როგორც აღინიშნა, გარკვეული ვალდებულებების შესასრულებლად დღემდე ქმედითი ღონისძიებები გატარებული არ არის და უახლოეს მომავალში მისი შესრულება ფაქტობრივად შეუძლებელია“.

შუამდგომლობა მოსამართლე [ნინო ბუაჩიძემ](#) ბეპირი მოსმენის გარეშე განიხილა და მეორე დღესვე, 2017 წლის 11 მაისს, [გადანყვეტილებაც](#) მიიღო. აღსანიშნავია, რომ თავად შუამდგომლობა 23 გვერდზე იყო წარმოდგენილი, ხოლო მტკიცებულებები წარმოდგენილი იყო 1195 ფურცლად.

შპს „ჯორჯიან მანგანებში“ სალიცენზიო და სანებართვო პირობების შესასრულებლად, არაუმეტეს 3 წლის ვადით, ამოქმედდა სპეციალური მართვის რეჟიმი. სპეციალურ მმართველად ნიკოლოზ ჩიქოვანი, რომელსაც მიენიჭა არა მხოლოდ ლიცენზიისა და ნებართვის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობის, არამედ სრულად სანარმოს ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად მართვის უფლება.

<sup>2</sup> [ჯორჯიან მანგანების სპეციალური მმართველი - სანარმოს გაჯანსაღების, თუ წილების გადანაწილების მორიგი მცდელობა?](#) მწვანე ალტერნატივა, ივლისი 2018



## რა ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას კომპანია

ჯორჯიან მანგანუმს, რომელიც ყოფილ ჭიათურმანგანუმს და ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანას აერთიანებს და არის შპს „ვარციხე 2005“-ის მფლობელი (ვარციხეჭესების კასკადი), აქვს ვებ-გვერდი <http://www.gaalloys.ge/>. ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია კომპანიების შესახებ და კომპანიების მმართველი გუნდის წევრების შესახებ.

ვებ-გვერდზე არ არის ინფორმაცია საწარმოში სპეციალური მართვის რეჟიმისა და სპეციალური მმართველის შესახებ. ასევე, სპეციალური მართვის რეჟიმით გათვალისწინებული გვერდის და მისი შესრულების მდგომარეობის შესახებ.

ჯორჯიან მანგანუმის საკუთრებაში არსებული საწარმოების გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და/ან ლიცენზიის შესახებ ინფორმაცია და/ან თავად დოკუმენტები არ არის ხელმისაწვდომი კომპანიის ვებ-გვერდზე. ასევე, არ არის ხელმისაწვდომი ჯორჯიან მანგანუმის საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობაზე და სოციალურ მდგომარეობაზე გავლენის, ამ გავლენის შემსუბუქებისათვის გათვალისწინებული ქმედებების და/ან გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის რჩევები ან მითითებები მოსახლეობისთვის კომპანიის მიერ წარმოებული სამუშაოების შესახებ. არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოიქცეს საწარმოების საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოქალაქე პრობლემური საკითხის მოგვარებისათვის, ვის უნდა მიმართოს საწარმოს საქმიანობის შედეგად დაზარალების შემთხვევაში. **კომპანიის ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საკონტაქტო ინფორმაცია.**



თბილისი, 0179,  
 ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.  
 ტელ.: 222 38 74  
[GREENALT@GREENALT.ORG](mailto:GREENALT@GREENALT.ORG)  
[WWW.GREENALT.ORG](http://WWW.GREENALT.ORG)

დოკუმენტი გამოცემულია მწვანე ალტერნატივას, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროსთან თანამშრომლობით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“ და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ენერჯეტიკის, წიაღით სარგებლობისა და ტრანსპორტის სექტორებში მმართველობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროსა და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებებს.

ავტორი: ნინო გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა, 2018